აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების კომისიის სხდომის

ოქმი №6

ქ. ბათუმი

19.05.2014 წ.

სხდომას უძღვებოდა პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე - რამაზ ბოლქვაძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე).

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

ბესიკ ბოლქვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე;

იოსებ აბულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;

რომან ბოლქვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

დავით გაბაიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ვალერი ბერაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;

რაულ აბულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;

კახა შაშიკაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ვახტანგ ბაგრატიონი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;

კომისიის მდივანი - ცირა აბულაძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ნათია აფხაზავა - „სი-ეს-აი“ ბათუმის ფილიალის დირექტორი;

კობა ნაკაიძე - მოწვეული სტუმარი - სსიპ ,,დასაქმების სააგენტოს უფროსი“

ვახტანგ გორდელაძე - USAID (G3) პროგრამის ინსტიტუციონალური განვითარების კონსულტანტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში;

ნოდარ ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

გურამ ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

გივი ქედელიძე - ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, მომხსენებელი რომან ბოლქვაძე.

2. ინფორმაცია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, მომხსენებელი რაულ აბულაძე.

3. ინფორმაცია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, მომხსენებელი კახა შაშიკაძე.

4. ინფორმაცია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, მომხსენებელი იოსებ აბულაძე.

მოისმინეს:

სხდომის საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა მოისმინეს:

1. კომისიის წევრის - რომან ბოლქვაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (იხილეთ რომან ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - **დანართი #1**)

2. კომისიის წევრის - რაულ აბულაძის მოხსენება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის რაულ აბულაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - **დანართი #2)**

3. კომისიის წევრის - კახა შაშიკაძის მოხსენება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის კახა შაშიკაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - **დანართი #3)**

4. კომისიის წევრის - იოსებ აბულაძის მოხსენება სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის იოსებ აბულაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - **დანართი #4)**

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ.

1. კომისიის თავმჯდომარემ – რამაზ ბოლქვაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროგრამის ,,მოსახლეობის სოციალური დაცვა" ქვეპროგრამა ,,სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება" გადატანილი იქნას ,,სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის" პროგრამაში, ამასთან, მიზანშეწონილია განხილულ იქნას ,,სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურებისა" და ,,სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების" ქვეროგრამების გაერთიანების საკითხი.

2. რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო როცა განიხილავდა თავის 2015-2018 წლების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას ა(ა)იპ ,,სამედიცინო ასოციაცია თანას დირექტორმა" ნანა საყვარელიძემ დღის წესრიგში დააყენა საკითხი აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა დახმარების თაობაზე და აქვე დაამატა რომ, სამინისტროს მიერ ხომ არ იგეგმება სპეციალური პროგრამის შემუშავება?

3. ასევე, ნათია აფხაზავამ დასვა შეკითხა: სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მომართვიანობის სიმრავლე აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ხშირ შემთხვევაში სამკურნალო რეკომენდაცია – ბავშვს ესაჭიროება აღნიშნული რეაბილიტაცის კურსი, გადაჭარბებულია. აქედან

გამომდინარე, მიზანშეწონილია შემუშავდეს რიგი ღონისძიებები, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას განვსაზღვროთ ქვეპროგრამაში ბენეფიციარის ჩართვის აუცილებლობა.

4. ვახტანგ გორდელაძემ გამოთქვა მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ კარგი იქნება თუ აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მსგავსი შინაარსის ქვეპროგრამები დაჯგუფდება რამოდენიმე პროგრამად, რაც უფრო ნათელს გახდის მოსალოდნელ შედეგს.

5. რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა, იმის თაობაზე, რომ ვინაიდან დასაქმების სააგენტოს პროგრამის ,,პროფესიული გადამზადება" ფარგლებში შრომის ბაზრის კვლევა ჯერ არ დასრულებულა და არ გავქვს შედეგები, აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა რის საფუძველზე იგეგმება მომავალ წლებში პროფესიული გადამზადების პროგრამაში 100 000 ლარის გათვალისწინება? და რამდენად ეფექტური იქნება სამთვიანი გადამზადების კურსი? ასევე, რამდენად მოთხოვნადი იქნება ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებული კადრები შრომის ბაზარზე? ქვეპროგრამის მოსარგებლეთა ასაკი ხომ არ არის შეზღუდული?

6. ნათია აფხაზავამ დასვა შეკითხვა – რატომ არის დაყოფილი ,,პროფესიული გადამზადების" პროგრამა ბენეფიციარების მიხედვით და არა დეფიციტური პროფესიების მიხედვით? ხომ არ არის დაგეგმვა არასწორი და რამდენად პრიორიტეტულია ასეთი ადამიანების გადამზადება?

გამოთქმულზე გაკეთდა განმარტებები:

კომისის წევრმა რომან ბოლქვაძემ განმარტა, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განიხილავს ზემოაღნიშნულ წინადადებებს და მოწონების შემთხვევაში პროგრამები და ქვეპროგრამები დაჯგუფდება მსგავსი შინაარსის მიხედვით.

რომან ბოლქვაძემ განმარტა, რომ აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის ცნობილია და ამ მიმართულებით მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები, მაგრამ ჯერ-ჯერობით სამინისტრო არ არის ჩამოყალიბებული რა სახის პროგრამა ან ქვეპროგრამა იარსებებს აუტიზმით დაავადებულ ბავშთა რეაბილიტაციისათვის.

რომან ბოლქვაძემ განმარტა, რომ 2015 წლისათვის სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ბენეფიციარები იქნებიან სოციალურად დაუცველი და III–IV ხარისხის სქოლიოზით დაავადებული ბავშვები.

მოწვეულმა სტუმარმა კობა ნაკაიძემ სსიპ ,,დასაქმების სააგენტოს" უფროსმა განმარტა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გადამზადდება 250 ადამიანი. ასაკი არ

არის შეზღუდული სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. რა კატეგორიის ადამიანები უნდა გადამზადდეს ეს განსაზღვრულია პროგრამით. აქვე განმარტა, რომ შრომის ბაზრის კვლევის პროგრამა, რომელიც მიმდინარეობს მიმდინარე წელს დასრულდება აგვისტოს თვეში გამოიკვეთება დეფიციტური პროფესიები სწორედ ამ მოთხოვნად პროფესიებში გადამზადდებიან ზემოაღნიშნული 250 ბენეფიციარი.

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015–2018 წწ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ.

1.კომისიის თავმჯდომარემ – რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015–2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის ,,ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის" ქვეპროგრამები რამდენად მოთხოვნადია მოსახლეობის მიერ? სოფლის მეურნეობის სამინისტროში ხომ არ იგეგმება აგროკალენდრის შემუშავება? ხომ არ იქნება უკეთესი მსგავსი შინაარსის ქვეპროგრამები დაჯგუფდეს ახალი პროგრამების სახით?

2. კომისიის თავმჯდომარემ – რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა ,,მაღალმთიან აჭარაში მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომი განვითარების მიზნით სათიბი ფართობების გაკულტურების ღონისძიებები" ქვეპროგრამის ფარგლებში გასაკულტურებელი ფართობები არის თუ არა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკუთრება და უმჯობესია თავიდანვე გადაწყვეტილი იქნას საკუთრების საკითხი, სანამ ქვეპროგრამის განხორციელება დაიწყება.

3. ნათია აფხაზავამ დასვა შეკითხვა – ,,მარცვლეულისა და უხეში საკვები საფრქვავი დანადგარით ფერმერთა უზრუნველყოფა ხელშეწყობის განხორციელება" ქვეპროგრამით გათვალისწინებული დანადგარების გლეხებისათვის მიწოდება ხომ არ იქნება ზედმეტი ფუფუნება? და ხომ არ ჯობია ქვეპროგრამით გათვალისწინებული აქტივობები გამოყენებული იქნას სასოფლო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობისათვის, რომელიც ფერმერებს სტიმულს მისცემთ გაერთიანდნენ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებში.

4. დავით გაბაიძემ დასვა შეკითხვა – ,,სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტარა-მასალით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა" ქვეპროგრამის ფარგლებში მიწოდებული ყუთები რისთვის იქნება საჭირო? მაშინ, როცა პავლიონებს აჭარის ა/რ მთავრობამ გადასცა ქონება და პირობად ჩაუდო, რომ ყუთები მათ უნდა ეწარმოებინათ?

გამოთქმულზე გაკეთდა განმარტებები:

იოსებ აბულაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი ქვეპროგრამები დაიგეგმა მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე. აგროკალენდარი შემუშავებულია მეცნიერებათა აკადემიის მიერ რომლის დაბეჭვდას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ,,აგროსერვისცენტრი". სოფლის მეურნეობის სამინისტრო განიხილავს ზემოაღნიშნულ წინადადებებს და მოწონების შემთხვევაში პროგრამები და ქვეპროგრამები დაჯგუფდება მსგავსი შინაარსის მიხედვით.

პროგრამის განხორციელების დროს უპირატესობა მიენიჭება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულ ფერმერებს. ტარა-მასალით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობით მიწოდებული ყუთები გამოიყენება მოსავლის ბაღებიდან დაუზიანებლად გამოტანისათვის, რომელიც იქნება მრავალჯერადი გამოყენების.

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა მუნიციპალიტეტების მიხედვით თუ გაქვთ ჩამონათვალი სად რომელი გზა უნდა გაკეთდეს? და რა კატეგორიის გზებს ენიჭება უპირატესობა?

გამოთქმულზე გაკეთდა განმარტებები:

კახა შაშიკაძემ განმარტა, რომ საგზაო დეპარტამენტის პროგრამის დაგეგმვა ხორციელდება მოსახლეობასთან შეხვედრებისა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით. უპირატესობა მიენიჭება სოფლების ერთმანეთთან დამაკავშირებელ გზებს.

მსჯელობის შედეგად კომისიამ დაადგინა:

1. გამოთქმული შენიშვნების გასათვალისწინებლად მხარჯავ დაწესებულებებს მიეცათ დამატებითი ვადა 23 მაისამდე წარმოადგინონ გადამუშავებული ვერსია და ამის შემდეგ მოხდება პრიორიტეტების კომიის სხდომაზე 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების რანგირება.

კომისიის წევრები:

ბესიკ ბოლქვაძე

იოსებ აბულაძე

რომან ბოლქვაძე

დავით გაბაიძე

ვალერი ბერაძე

რაულ აბულაძე

კახა შაშიკაძე

ვახტანგ ბაგრატიონი

მონვეული სტუმრები:

ნათია აფხაზავა

კობა ნაკაიძე

ვახტანგ გორდელაძე

ნოდარ ხალვაში

გურამ ბერიძე

გივი ქედელიძე

კომისიის თავმჯდომარე **რამაზ ბოლქვაძე**

კომისიის მდივანი ცირა აბულაძე